



## დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

### განკარგულება #92

2015 წელი 16 ოქტომბერი

ქ. დუშეთი

### დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტს 2015 წლის 29 სექტემბრის №5/57587 წერილით მომართა სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ და მოითხოვა დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ დუშეთში, აღმაშენებლის ქუჩაზე (ყოფილი სტალინის ქ. #80) მდებარე უძრავი ქონების (ს/კ 71.51.01.384) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა, შემდგომში სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების და 108-ე მუხლის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

#### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარე ქალაქ დუშეთში, აღმაშენებლის ქუჩაზე (ყოფილი სტალინის N80, ს/კ 71.51.01. 384) გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ შემდგომში სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით .

2.განკარგულება გასაცნობად გადაეგზავნოს სახელმწიფო ქონების მამართველს - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.